



შემაჯავებელი
აღმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეჯის
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეჯი
შემაჯავებელი
თარიღი 12.09.18
საქმის ნომერი 262/49/18
ფაქსი
ელ.ფოსტის მისამართი
საქმის მართვა

საქმე №3/5266-18

ააიპ "მწვანე ალტერნატივა"
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

მერი გულუაშვილი
მოსამართლის სახელი და გვარი

მოკასუსი: შენიშვნა-1

საქართველოს გარემოს
დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო
სახელი, გვარი (სახელწოდება)

ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზირი №8

პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-2

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

მოკასუსის წარმომადგენელი: შენიშვნა-3

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი პირადი ნომერი ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-4

მარი იმერლიშვილი
სახელი, გვარი

599130610

სახლის ტელ. მობილური ელექტრონული ფოსტა

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge



სასამართლო დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

ცნობთ თუ არა სარჩელს?

დიახ

არა

ნაწილობრივ

შენიშვნა-8

**მოკასუსის კოშიცია მოსარჩელის მიერ მიტითვულ
დავის ფაქტობრივ გარემოებებზე**

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ რის საფუძველზე?

არა

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ რის საფუძველზე?

არა

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ რომელი საფუძველით?

არა

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ რომელი საფუძველით?

არა

შენიშვნა-19

მოკასუხის კოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძველებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

მოსარჩელის მოთხოვნა: ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის N2-219 ბრძანება - "სს "ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას" მიერ გუმბათის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში კასკადის ფუნქციონირების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" უსაფუძველოა, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველებზე:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველებს. მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნაში უთითებს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის N2-219 ბრძანების გამოცემისას დარღვეულ იქნა მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

როგორც ვხედავთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლი გამოყოფს აქტის ბათილობის რამოდენიმე საფუძველს 1)თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, 2) თუ არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის მოთხოვნები, 2.1) ასეთ არსებით დარღვევად ითვლება ამავე კოდექსის 32-34 მუხლით გათვალისწინებული წარმოების სახის დარღვევა ან/და კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. შესაბამისად, სზაკ მკაცრად განსაზღვრავს აქტის ბათილობის სამართლებრივ საფუძველებს, მოცემულ სამართლებრივ დავაში მოსარჩელე მხარე ვერ ასაბუთებს, აქტის ბათილობის რომელიმე სამართლებრივი საფუძველის არსებობას და არასწორ შეფასებას აძლევს ფაქტებს. კერძოდ, მოსარჩელის მითითებით სამინისტროს არ უნდა გამოეყენებინა "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის პირველი ნაწილი ვინაიდან იგი გამოიყენება მხოლოდ 2018 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე. აღნიშნული შეფასება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და წინააღმდეგობაში მოდის თვითონ მოსარჩელის მიერ მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთანაც, კერძოდ როგორც საქმის მასალებით დასტურდება, სს "ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციამ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა 2017 წლის 20 მარტს. სასამართლოს ყურადღებას მივაპყრობთ იმ ფაქტზე, რომ "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ეკოლოგიური ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობებთან დაკავშირებული მშენებლობა ან არსებული საწარმოო ტექნოლოგიის შეცვლა განსხვავებული ტექნოლოგიით, რაც იწვევს ექსპლუატაციის პირობების შეცვლას, ასევე განიხილება, როგორც ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა. შესაბამისად სს "ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას" მიერ დაგეგმილი ცვლილება საჭიროებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამინისტროში ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2017 წლის 20 მარტს და არა 2018 წლის იანვარში.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით. შესაბამისად, მოსარჩელეს მტკიცება, რომ სამინისტროს უნდა ეხელმძღვანელა "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" საამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. მოსარჩელე მხარე თავის მსჯელობას შეცდომით აფუძნებს და ამყარებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსზე და არასწორად ახდენს მის მოშველიებას სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ დასაბუთებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ მიერ აღნიშნული პროექტი სამინისტროში წარმოდგენილი იყო 2017 წლის 20 მარტს. (გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ექსპლუატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაცემულია 2008 წლის 5 თებერვალს (მინისტრის ბრძანება N134). 2017 წელს სს „ენერგო პრო ჯორჯია“-ს გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცა სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს (მინისტრის ბრძანება No-766). სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციამ“ 2017 წლის 20 მარტს სამინისტროში წარმოადგინა გუმათი I-II ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლასთან დაკავშირებით გზშ-ის ანგარიში) სამინისტროს მიერ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე შენიშვნებისა და წინადადებების მომზადების მიზნით, გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის მიერ დაიგზავნა წერილები: -

ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტში (N837 21.03.2017), ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტში (N836 21.03.2017), სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში (N838 21.03.2017), სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში (N2742 27.03.2017) და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოში (N2743 27.03.2017), რომელთა მიერ მოწოდებული შენიშვნები და წინადადებები აისახა სამინისტროს მიერ მომზადებულ შენიშვნებში და შეჯამებული სახით გადაეგზავნა „სს ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ (წერილი N4080 10.05.2017).

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის მიზნით საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია: გამოაქვეყნოს თავის მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია როგორც ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, ისე იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება; ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – აგრეთვე მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინოს გზშ-ის ანგარიშის, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით მომზადებული ტექნიკური რეზიუმეს და არატექნიკური რეზიუმეს დოკუმენტური და ელექტრონული ვერსიები; დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში მიიღოს და განიხილოს საზოგადოების წარმომადგენლებისაგან წერილობითი სახით წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები; დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 50 და არა უგვიანეს 60 დღისა მოაწყოს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა თავის მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით. ამასთან 2017 წლის 18 მაისს, კომპანიის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწყობილ საჯარო განხილვაზე სამინისტროს წარმომადგენელმა, საქმიანობის განმახორციელებელსა და დაინტერესებულ საზოგადოებას წარუდგინა პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები და წინადადებები. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით სამინისტრომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით.

რაც შეეხება საზოგადოების მონაწილეობას, როგორც უკვე აღინიშნა, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, ვინაიდან წარმოება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით წარიმართა, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საჯარო განხილვის ჩატარება უზრუნველყო საქმიანობის განმახორციელებელმა კანონმდებლობით დადგენილი წესით 2017 წლის 18 მაისს, ქ. ქუთაისის მერიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში. აღნიშნულ შეხვედრას ასევე ესწრებოდა სამინისტროს წარმომადგენელი.

ექსპერტიზის ჩატარების დამადასტურებელ მტკიცებულებასთან დაკავშირებით გაცნობებით, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოადგინა ზემოაღნიშნული პროექტის გზშ-ის ანგარიში 2018 წლის 1 მარტს, რაზეც ადმინისტრაციული წარმოება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განხორციელდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით. კერძოდ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 7 მარტის N2-133 ბრძანების შესაბამისად ექსპერტიზის ჩატარების მიზნით შეიქმნა საექსპერტო კომისია. საექსპერტო კომისიის მიერ მომზადებული იქნა ექსპერტიზის

დასკვნა, რომლის საფუძველზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის N2-219 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ მიენიჭა საქმიანობის განხორციელების უფლება გუმათი I-II ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლაზე. ზემოაღნიშნული განმარტებების თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას დაცული იქნა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ და წარმოების პროცედურები განხორციელდა ამავე კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. გარდა ამისა, დამატებით გაცნობებით, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

შესაბამისად სამინისტროში 2018 წლის 1 იანვრამდე, რომ არ დაწყებულიყო ადმინისტრაციული წარმოება, ასეთ შემთხვევაში სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ საქმიანობისთვის გზშ-ის საჭიროების დადგენის მიზნით საჭირო იქნებოდა ამავე კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლა და გზშ-ისადმი დაქვემდებარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკოპინგის პროცედურა. დამატებით გაცნობებით, რომ „სს ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ მიერ გუმათის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში კასკადის ფუნქციონირების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის N2-219 ბრძანება კანონმდებლობის შესაბამისად ასევე გამოქვეყნებულ იქნა 2018 წლის 16 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებითა და შესაძლებლობებით. კერძოდ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი რომლებზეც იგი ამყარებს მოთხოვნებს. ამდენად განვმარტავთ, რომ „გარემოსდაცვით საკითხებთან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორპუსის კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევაზე მითითებისას მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ის მტკიცებულებები რაც დაადასტურებდა დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საჯაროობის უფლების შეზღუდვას ან/და დარღვევას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის #2-219 ბრძანება გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა და პროცედურათა სრული დაცვით და მისი ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლით გათვალისწინებული არცერთი საფუძველი არ არსებობს.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

- მოწმე ფაქტობრივი გარემოება(ები)
- ექსპერტი ფაქტობრივი გარემოება(ები)
- სპეციალისტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-27

სსპს სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

სასამართლოს ვთხოვთ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმული იქნეს სს "ენერჯო-პრო ჯორჯია გენერაცია".

არგუმენტაცია:

საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ რის საფუძველზე?

არა

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
პროცესუალური კოდექსის 10-ე მუხლის
პირველი პუნქტიდან გამომდინარე, საბჭოს

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

- დიახ** მორიგების პირობები;
არა რადგან

შენიშვნა-30

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31, შენიშვნა-32

დანართი 1: "ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 მარტის #2-175 ბრძანება. 2 (ორი) ფურცელი.

დანართი 2: „სს ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ მიერ გუმათის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში კასკადის ფუნქციონირების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის N2-219 ბრძანებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების მასალები - 52 ფურცელი.

დანართი 3: 1 CD დისკი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 52 ფურცელი და 1 დისკი.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მიგუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ნინო თანდილაშვილი

10/09/2018 წ.

ხელმოწერა

ხელმოწერის სახელი, გვარი

შეესების თარიღი

შეესებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-175

22/03/2018

ქ. თბილისი

წინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის N112 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს წინო თანდილაშვილს მიენიჭოს უფლებამოსილება:
 - ა) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინტერესების წარდგენისა და დაცვის მიზნით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება ნებისმიერ სასამართლო ინსტანციაში, მათ შორის: ხელი

მოაწეროს განცხადებებსა და მინდობილობებზე, აღძრას სარჩელი, ცნოს სარჩელი, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, შეცვალოს სარჩელის საგანი, მოურიგდეს მხარეს, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება და წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად;


ბ) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებით აღჭურვოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეები.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნინო თანდილაშვილის არყოფნის შემთხვევაში, მიენიჭოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს ნოდარ კერესელიძეს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნ. კერესელიძისთვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 18 ნოემბრის N2-229 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი

5000037
16.03.17

საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი
რესურსების მინისტრს
ბ-ნ ვიკტორ აგულაშვილს
მისამართი: ქ. თბილისი, გ.გულუას ქ.6

ბატონო ვიკტორ,

გაცნობებთ, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს კუთვნილი „გუმათი I-II ჰესი“-ს ფუნქციონირების საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლასთან დაკავშირებით, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, 2017 წლის 17 მაისს, 15 საათზე, ქ. ქუთაისის მერიის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, რუსთაველის #3), გაიმართება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, წინასწარი განხილვის მიზნით წარმოგიდგინებთ კანონით მოთხოვნილ დოკუმენტაციას:

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზემპლარი;
2. ტექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი;
3. არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი;
4. გზშ-ს ანგარიშის ელექტრონული ვერსია;
5. GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები;
6. გაზეთ რეზონანსის 2017 წლის 20 მარტის დღის გამოშვება.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი
მიხეილ ზოცვაძე



შემსრულებელი:
გეოეკოლოგი - ლევან იოსელიანი (577 35 13 97)

საქართველო

Fax: +99532-471707 | Email: Info@Energo-pro.ge | Internet: www.energo-pro.ge | სარ. კოდი: 205169066

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
№ 5228
„20“ 03 2017



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF
GEORGIA



KA060180886049917

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ: 2727200, 2727220, ფაქსი: 2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel: (+995 32) 2727200, 2727220, Fax: 2727237; www.moe.gov.ge

4080

10 / მაისი / 2017 წ.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს

გოგზავნით შენიშვნებს თქვენს მიერ, წინასწარი განხილვის მიზნით, 2017 წლის 20 მარტს წარმოდგენილ, მდ. რიონზე არსებული „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე:

1. როგორც თქვენთვის ცნობილია, 2008 წელს „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციაზე სამინისტროს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაიცა სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ზე. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ გზშ-ს ანგარიშის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ არ გადასცემს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს, სამინისტრო მოკლებული იქნება შესაძლებლობას ნებართვის გაცემის მიზნით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე.
2. გზშ-ს ანგარიშის სატიტულო გვერდზე საქმიანობის განმახორციელებლად უნდა მიეთითოს სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“ და არა სს „ენერგო-პრო ჯორჯია“. ასევე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დოკუმენტს „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება“-ს ნაცვლად უნდა მიეთითოს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“.
3. გვ. 5 და გვ. 8 - მოცემული ინფორმაციით, გზშ-ს ანგარიშის მომზადებამდე საქმიანობის განმახორციელებელის მიერ ჩატარდა „სკოპინგის“ და შემდეგ „სკრინინგის“ პროცედურა. გაცნობებთ, რომ გზშ-ს ანგარიში შედგენილი უნდა იყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის #31 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების შესაბამისად.
4. გვ. 6 - გზშ-ს ანგარიშში მოცემულია იმ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, რომელთა მოხოვნები გათვალისწინებული იქნა გზშ-ს მომზადების პროცესში. ჩამონათვალში, კანონქვემდებარე აქტებიდან აღნიშნული საქმიანობისთვის რელევანტურია მხოლოდ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის #31 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ჩამონათვალს უნდა დაემატოს ის კანონქვემდებარე აქტები, რომელთა მოხოვნები გათვალისწინებული უნდა იყოს მოცემული საქმიანობისათვის.
5. გვ. 8 - წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში გზშ-ს პროცედურის ჩატარების აუცილებლობად მითითებულია „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი. ვინაიდან, წარმოდგენილ საქმიანობაზე, სამინისტროს მიერ გაცემულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა #00103 (05.02.2008) და ჰიდროელექტროსადგურზე ჩატარებულ სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოებმა გამოიწვია გუმათი ჰესის კასკადის სიმძლავრის გაზრდა და შესაბამისად

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, გზმ-ს ანგარიშში მითითებული უნდა იყოს არა მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, არამედ ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.
6. ვინაიდან, სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა ქვესადგურზე, რამაც გამოიწვია სიმძლავრის ცვლილება და გზმ-ს ანგარიში ასევე მოიცავს ქვესადგურის ექსპლუატაციას, ანგარიშის სატიტულო გვერდზე საქმიანობის დასახელებაში ასევე მითითებული უნდა იყოს ქვესადგურიც.
 7. გზმ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია, 2008 წელს სამინისტროში წარმოდგენილი გუმათი ჰესების კასკადის გზმ-ს ანგარიშით განსაზღვრული ღონისძიებებისა და რეკომენდაციების, ასევე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ.
 8. გვ. 11 - გზმ-ს ანგარიშში წარმოდგენილ ცხრილს, რომელშიც მოცემულია გუმათი ჰესების კასკადის პარამეტრები, უნდა დაემატოს ინფორმაცია ტურბინების ტიპების, ტურბინების საპროექტო და მაქსიმალური ხარჯების, წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობის, წყალსაცავის სიგრძის, გენერატორების ტიპის შესახებ.
 9. გვ. 11 - გზმ-ს ანგარიშის თანახმად, „კაშხლის კვეთში მდ. რიონის ჰიდროლოგიური პარამეტრებია: $Q_{აბ6}=12$ მ³/წმ, $Q_{აბ5}=1400$ მ³/წმ, $Q_{აბ8}=127$ მ³/წმ”, აღნიშნული მონაცემები, ჰესების კასკადის სხვა პარამეტრებთან ერთად გადმოტანილია 2008 წლის გზმ-ს ანგარიშიდან, თუმცა არცერთ გზმ-ს ანგარიშში არ არის მოცემული თუ რომელ კვლევებზე დაყრდნობით არის წარმოდგენილი აღნიშნული მონაცემები. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს მეთოდოლოგია რომლის მიხედვითაც იქნა დათვლილი მდინარის ხარჯები. გარდა ამისა გზმ-ს ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია, თქვენს მიერ 2008 წლის #10 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-5 პირობის შესაბამისად, მდინარის დონესა და ხარჯზე დაკვირვების შედეგად ან არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით მდინარის ხარჯის აბსოლუტური მინიმალური და მაქსიმალური ხარჯების შესახებ, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია კაშხლის განთავსების კვეთში მდინარის სიგრძისა და სიგანის შესახებ, ასევე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის შესახებ თვეების მიხედვით, ყოველთვიურად ჰესის მიერ მოხმარებული ხარჯის შესახებ (ასევე თვეების მიხედვით) და კაშხლის ქვედა ბიეფში გასატარებელი ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობის შესახებ თვეების მიხედვით.
 10. გვ. 14 - გზმ-ს ანგარიშის მიხედვით, „აუდიტის პერიოდში წყალსაცავის სანაპირო ზოლში და მიმდებარე ტერიტორიებზე საყოფაცხოვრებო ან სამრეწველო ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიები არ ყოფილა გამოვლენილი“. გზმ-ს ანგარიშში არააფერია ნათქვამი წყალსაცავის ზოლში საშიში გეოდინამიკური პროცესების მიმდინარეობის შესახებ. გაცნობებთ, რომ 2008 წელს სამინისტროში წარმოდგენილი გზმ-ს ანგარიშის თანახმად, წყალსაცავის სანაპირო ზოლში და მიმდებარე ტერიტორიებზე ადგილი ჰქონდა საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარებას, კერძოდ, აღნიშნებოდა მრავლობითი მეწყრული და ეროზიული უბნები, გარდა ამისა, წყალსაცავში ნატანის დაგროვების გამო წყალსაცავის შესართავთან აწეული იყო მდ. რიონის დონე და წყალდიდობის პერიოდში ადგილი ჰქონდა სოფ. ოფურჩხეთის და სოფ. ჟონეთის მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების და საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის ფაქტებს (გვ. 19). აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიკური პროცესების აღკვეთის მიზნით, 2008 წელს, სამინისტროს მიერ, #10 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ერთ-ერთ პირობად განისაზღვრა საინჟინრო ღონისძიებების პროექტის დამუშავება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზმ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია თქვენს მიერ გატარებული ღონისძიებების, მიღწეული შედეგის და შემდგომი მონიტორინგის სისტემის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ გეოდინამიკური პროცესების აღკვეთის მიზნით, თქვენს მიერ არ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები, გზმ-ს ანგარიშის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე, წყალსაცავის ზოლში და მიმდებარე ტერიტორიებზე მეწყრული და ეროზიული უბნების გამოვლენის მიზნით უნდა ჩატარდეს ახალი კვლევები, მოხადდეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და აისახოს გზმ-ს ანგარიშში.
 11. გაცნობებთ, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს, სამინისტროს მიერ გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (#10; 31.01. 2008) პირველი პირობის თანახმად, განესაზღვრა ვალდებულება შეემუშავებინა აღნიშნული დასკვნის პირობებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების გეგმა-გრაფიკი (შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის განხილვისა და შეთანხმების გათვალისწინებით) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემიდან ერთი თვის ვადაში წარმოედგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში. ვინაიდან აღნიშნული პირობის შესრულების თაობაზე, გზმ-ს ანგარიშში ინფორმაცია არ არის მოცემული, თქვენს მიერ უნდა შემუშავდეს და ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშს დაერთოს ზემოაღნიშნული დასკვნით გათვალისწინებული ღონისძიებების/ პირობების შესრულების გეგმა-გრაფიკი.
 12. გვ. 19 - გზმ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია, ქვესადგურის ტერიტორიაზე მოსული სანიაღვრე წყლების რაოდენობის, შეგროვების, გაწმენდისა და შემდგომი მართვის შესახებ.
 13. გვ. 24 - გზმ-ს ანგარიშის მიხედვით, გუმათი 2 ჰესის ტერიტორიაზე სამეურნეო დანიშნულების წყლის აღება ხდება ტერიტორიაზე არსებული ჭიდან. გაცნობებთ, რომ გრუნტის წყლების სარგებლობაზე საჭიროა მოპოვებული იქნეს შესაბამისი ლიცენზია.
 14. გვ. 27-36 - გზმ-ს ანგარიშში მოცემულია თავი 6.3, სათაურით „გარემოსდაცვითი ღონისძიებების მიმდინარე მდგომარეობა“. აღნიშნულ ქვეთავში მოცემულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით და არ არის გათვალისწინებული „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის #426 დადგენილების და „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4

- ავგისტოს #211 ბრძანების მოთხოვნები. აღნიშნული ქვეთავის შინაარსის გათვალისწინებით, მისი სათაური უნდა იყოს „ნარჩენების მართვის გეგმა“, ხოლო თავად შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ზემოაღნიშნული დადგენილებისა და ბრძანების მოთხოვნებს. გარდა ამისა, ნარჩენების მართვის გეგმა შედგენილი უნდა იყოს მხოლოდ გუმათი ჰესების კასკადისათვის და არა რამდენიმე ობიექტისათვის. ამასთანავე, მესამე აბზაცში „შაორი ჰესის“ ნაცვლად მოცემული უნდა იყოს „გუმათი ჰესი“.
15. გვ. 36-39 - გზმ-ს ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია 2008 წლიდან 2016 წლამდე გუმათი ჰესის კასკადზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. მოცემულ ჩამონათვალში არ არის ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც იგეგმებოდა 2008 წლის გზმ-ს ანგარიშში, კერძოდ, არ არის გათვალისწინებული კაშხლის მონიტორინგის სისტემის განახლება, წყალსაცავის მყარი ნატანისაგან გაწმენდა, კაშხალზე არსებული სიღრმული გამრეცხების რეაბილიტაცია, მონიტორინგისა და მართვის სისტემების რეაბილიტაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული უნდა იყოს დასაბუთებული ინფორმაცია, 2008 წლიდან დღემდე რატომ არ განხორციელდა აღნიშნული ღონისძიებები და რატომ არ ჩაითვალა საჭიროდ მათი გათვალისწინება წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში, როგორც სამომავლოდ განსახორციელებელი ღონისძიებები.
 16. გვ. 42 - გზმ-ს ანგარიშში კლიმატური დახასიათებისას გამოყენებული მონაცემები აღებულია კლიმატური ცნობარებიდან (გამოშვება 14) რომელიც ეყრდნობა 1935-1960 წლამდე დაკვირვების ინფორმაციას. გზმ ანგარიშში გამოყენებული უნდა იყოს ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებათა უფრო თანამედროვე პერიოდის მონაცემები. გაცნობებთ, რომ საკვლევ ტერიტორიაზე დღემდე ფუნქციონირებს ქუთაისის მეტეოროლოგიური სადგური.
 17. გზმ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს წყალსაცავის ზემოქმედება კლიმატურ პირობებზე, შესაბამისი რაოდენობრივი დასაბუთებისა და კლიმატზე ზემოქმედების არეალის გათვალისწინებით.
 18. გვ. 42 - გზმ-ს ანგარიშის ტექსტურ ნაწილში მოყვანილი ზოგიერთი კლიმატური პარამეტრის მნიშვნელობა არ ემთხვევა ცხრილებში წარმოდგენილ სიდიდეებს, რაც საჭიროებს შესწორებას, გარდა ამისა გასასწორებელია ტერმინი „ფონური ქარი“. უნდა იყოს „ფონი“, ან „ფონური ქარი“. ასევე გასასწორებელია ცხრილების სათაურები (გვ. 43). კერძოდ, არის „საერთო/ქვედა ნისლიანობა ბალეში“, უნდა იყოს „ცის მოწმენდილი (0-2 ბალი), ნახევრადმოწმენდილი (3-7 ბალი) და მოღრუბლული (8-10 ბალი) მდგომარეობის განმეორებადობა საერთო/ქვედა ღრუბლიანობის მიხედვით (პროცენტებში)“. ამასთანავე მითითებული უნდა იყოს გზმ-ს ანგარიშში მოყვანილი ზოგიერთი სტატისტიკური მაჩვენებლის ლიტერატურული წყარო. ვინაიდან, მაგ. ფონური ქარების სიხშირე, ექსტრემალური ტემპერატურების განმეორებადობა არ იძებნება მითითებულ საცნობარო მასალებში.
 19. გვ. 44 - ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში, გეოლოგიურ ნაწილში საკითხები უნდა იყოს განხილული ქვეთავების მიხედვით შემდეგი თანამიმდევრობით: რელიეფი (გეომორფოლოგია); გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკური და სეისმური პირობები; ჰიდროგეოლოგია; საინჟინრო-გეოლოგიური პირობები; საშიში გეოლოგიური პროცესები და შემარბილებელი ღონისძიებები.
 20. გვ. 47 - გზმ-ს ანგარიშში, მდ. რიონის ჰიდროლოგიის დახასიათების ქვეთავში არ არის მოცემული ინფორმაცია გუმათი ჰესის განთავსების კვეთში მდ.რიონის ჰიდროლოგიური პარამეტრების შესახებ. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2008 წლის #10 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-5 პირობის თანახმად, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს განესაზღვრა ვალდებულება სათავე ნაგებობის ზემო ბიფში, წყალსაცავის გავლენის ზონის გარეთ, მოეწყო წყლის დონისა და ხარჯის გამზომი ავტომატიზირებული საგუშაგო, კომპანის უნდა გააჩნდეს ინფორმაცია უახლესი ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ, რაც მოცემული უნდა იყოს ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში.
 21. გვ. 49 - გზმ-ს ანგარიშში საპროექტო ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ფონური მონაცემების დახასიათებისას გამოყენებულია მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება დასახლებული პუნქტის მოსახლეობის რიცხოვნობას. გაცნობებთ, რომ ქ. ქუთაისში სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ახორციელებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს. გზმ-ს ანგარიშში, საკვლევ ტერიტორიის დახასიათებისას გამოყენებული უნდა დაკვირვების მონაცემები.
 22. გვ. 52 - გზმ-ს ანგარიშში, ფონურ მონაცემებში, ფაუნის დახასიათების ნაწილში განხილული უნდა იყოს წყლის ბიომრავალფეროვნება, კერძოდ, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მდ. რიონში გავრცელებული მაღალი ბიო-კონსერვაციული ღირებულების მქონე თევზების, მაკროუხერხემლოების, მაკროფიტების და ასოცირებული ფაუნის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ენდემების, რელიქტების, საქართველოს წითელი ნუსხის სახეობების შესახებ.
 23. გვ. 58 - გზმ-ს ანგარიშს გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების თავში (თავი 10) უნდა დაემატოს ქვეთავი ზემოქმედება იქთიოფაუნაზე, რომელშიც მოცემული იქნება სათანადო კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია საკვლევ ტერიტორიაზე იქთიოფაუნის არსებობის, მასზე მოსალოდნელ ან/და უკვე მიყენებულ ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და საკომპენსაციო ქმედებების შესახებ.
 24. გაცნობებთ, რომ „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #423 დადგენილების №423 მე-14 მუხლის თანახმად, წყალამლები ნაგებობები, წყალამლებით არანაკლებ 5 000 კუბ.მ დღე-ღამეში, აუცილებელია აღჭურვილი იყოს თევზამრედი ნაგებობა-მოწყობილობებით. აღნიშნული დადგენილების მოთხოვნა გათვალისწინებული და ასახული უნდა იყოს ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში.
 25. გვ. 59 - გზმ-ს ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე წყალსაცავის გავლენის ზონაში მოსალოდნელია ლოკალური საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება. აღნიშნულიდან

- გამომდინარე, გზმ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს გეოლოგიური პროცესების გააქტიურების შემთხვევაში, თუ რა სახის შემარბილებელი ღონისძიებების გატარება იქნება საჭირო.
26. ვინაიდან, წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში, „წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიებზე საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკები“-ს ქვეთავში მოცემულია საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების შესაძლო მიზეზები, ამიტომ, მეწყერსაშიშ უბნებზე გათვალისწინებული უნდა იყოს წინასწარი გაფრთხილების სისტემის ხელსაწყობის დამონტაჟება და მონიტორინგის წარმოება, რაც ასახული უნდა იყოს გეოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში.
 27. გვ. 59 - გზმ-ს ანგარიშში კაშხლისა და წყალსაცავის ექსპლუატაციის ეტაპზე დადებით ეფექტად შეფასებულია კაშხლისა და წყალსაცავის ვიზუალური და ინსტრუმენტული კონტროლი და რეაგირება მდ. რიონის კალაპოტის არახელსაყრელ ჰიდროდინამიკურ პროცესებზე. გზმ-ს ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია კაშხლისა და წყალსაცავის ინსტრუმენტული კონტროლის შესახებ. ასევე, დეტალურად უნდა იყოს მოცემული რას გულისხმობს არახელსაყრელი ჰიდროდინამიკური პროცესები და მოცემული უნდა იყოს რეაგირების კონკრეტული ღონისძიებები.
 28. გვ. 60 - თავი 10.2.1-ს შინაარსის მიხედვით, ჰესების კასკადზე დაგეგმილია სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნულიდან გამომდინარე მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების, აღნიშნული სამუშაოების დროს გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.
 29. გვ. 66 - გზმ-ს ანგარიშში შეფასებულია წყალსაცავის უარყოფითი ზემოქმედება მდინარის კალაპოტის დინამიკაზე, როგორც კაშხლის ქვედა ბიეფში, ისე კაშხლის ზედა ბიეფში, წყალსაცავის ნატანით შევსების გამო, თუმცა არ არის მოცემული შემარბილებელი ღონისძიებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც ეფექტური იქნება მდინარის კალაპოტის დინამიკის (მორფოლოგია) შენარჩუნება-გაუმჯობესებისათვის.
 30. გვ. 70 - გზმ-ს ანგარიშის მიხედვით, გუმათის წყალსაცავში დაგროვილ ნატანში დაფიქსირდა დარიშხანის მაღალი შემცველობა, ამიტომ წყალსაცავის ღრმა ჰიდრაულიკური გარეცხვა საჭიროებს ფრთხილ მიდგომას და მიზანშეწონილია ჩატარდეს მხოლოდ გეგმიური მსუბუქი გარეცხვები. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2008 წელს, სამინისტროში წარმოდგენილი გზმ-ს მიხედვით, წყალსაცავში ნატანის დაგროვების გამო წყალსაცავის შესართავთან აწეული იყო მდ. რიონის დონე და წყალდიდობის პერიოდში ადგილი ჰქონდა სოფ. ოფურჩხეთის და სოფ. ყონეთის მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების და საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის ფაქტებს, აღნიშნული პრობლემა ვერ იქნება გადაჭრილი მხოლოდ წყალსაცავის მსუბუქი გარეცხვით. გარდა ამისა, წყალსაცავში ნატანის დაგროვება ასევე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს მდინარის მორფოლოგიაზე, რაც ასევე მოცემულია წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ნატანში დარიშხანის შემცველობის გამო არ არის მიზანშეწონილი წყალსაცავის ღრმა გარეცხვითი სამუშაოების ჩატარება, წყალსაცავის მიმდებარედ არსებული სოფლების დატბორვის თავიდან აცილებისა და მდინარის კალაპოტის დინამიკის შენარჩუნების მიზნით შემუშავებული და გზმ-ს ანგარიშში უნდა იყოს წარმოდგენილი ნატანის მართვის ალტერნატიული მეთოდი.
 31. გვ. 75 - გზმ-ს ანგარიშში ავარიულ სიტუაციებში განხილულია ხანძრის, ზეთის დაღვრის და მომსახურე პერსონალის ტრავმატიზმის შემთხვევები. ხანძრის შემთხვევაში კომპანია დებს პირობას შეასრულოს სახანძრო უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებული მოთხოვნები, ხოლო ზეთის დაღვრის შემთხვევაში გაცემულია რეკომენდაცია დაღვრის თავიდან აცილების მიზნით ჩატარდეს ზეთშემცველი მოწყობილობების კონტროლი, თუმცა, არაფერია ნათქვამი, როგორ უნდა მოხდეს რეაგირება ზეთის დაღვრის შემთხვევაზე. გზმ-ს ანგარიშში, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმაში მოცემული უნდა იყოს ავარიების განვითარების სცენარები და მათზე რეაგირების კონკრეტული ქმედებები და არა ზოგადი რეკომენდაციები. გარდა ამისა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმაში ასევე განხილული უნდა იყოს წყალმოვარდნისა და ჰესებისთვის დამახასიათებელი სხვა ავარიული სიტუაციების განვითარების სცენარები და მათზე რეაგირების კონკრეტული ღონისძიებები.
 32. გვ. 80 - გზმ-ს ანგარიშში საუბარია სამშენებლო მოედნის ლიკვიდაციაზე და სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია სამშენებლო მოედნის შესახებ.
 33. გვ. 81 და გვ. 92 - გზმ-ს ანგარიშის თანახმად, გუმათის წყალსაცავის გარეცხვა უნდა მოხდეს რიონის წყალსაცავის გარეცხვის პარალელურ რეჟიმში. აქვე მოცემული უნდა იყოს რა დონის ჰიდრაულიკურ გარეცხვაზეა საუბარი.
 34. გვ. 84 - გზმ-ს ანგარიშში წარმოდგენილ გარემოსდაცვით მონიტორინგის გეგმას უნდა დაემატოს იქთიოფაუნაზე ზემოქმედების მონიტორინგის საკითხი.
 35. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები იმ სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან, რომელთა კომპეტენციის სფეროსაც განეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება საქმიანობის პროექტირების სხვადასხვა სტადიის განხორციელებასთან დაკავშირებით ცალკეულ ასპექტებზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შედეგების განხილვის მასალები. საზოგადოების წარმომადგენელთა შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის

შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის წერილობითი დასაბუთება და გზშ-ის ანგარიშთან ერთად წარმოდგენა.


ტექნის მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს და თან უნდა ერთვოდეს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის №31 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით განსახილველად უნდა წარმოადგინოთ ტექნიკური რეზიუმე (დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო გადაწყვეტილება) და არატექნიკური რეზიუმე, გრაფიკული და სხვა საილუსტრაციო მასალის თანდართვით.

რაც შეეხება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღებას, გაცნობებთ, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4-ე მუხლის მე-4-ე პუნქტის შესაბამისად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე გასცემს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას. შესაბამისად, განაცხადი კანონით დადგენილ დოკუმენტაციასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნას მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში, რათა მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციულმა ორგანომ უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ჩართვას სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

გთხოვთ უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე.

მინისტრის მოადგილე



მაია ბითაძე



საპარლამენტო გარემოს ღაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-133

07/03/2018

ქ. თბილისი

სს „ენერჯო პროჯორჯია გენერაცია“-ის გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ფუნქციონირების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „ენერჯო პროჯორჯია გენერაცია“-ს მიერ წარმოდგენილ, გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ფუნქციონირების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, შეიქმნას საექსპერტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი უნაფქოშვილი (კომისიის თავმჯდომარე) -სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დეპარტამენტის სტიქიური პროცესების, საინჟინრო-გეოლოგიის და გეოეკოლოგიის სამმართველოს გეოეკოლოგიურ გართულებებზე რეაგირების ჯგუფის წამყვანი სპეციალისტი;

ბ) ზადრი ცატავა (კომისიის წევრი) -გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი.

გ) თეონა ქარჩავა (კომისიის წევრი)- ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს საექსპერტო კომისიის წევრთა მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
3. საექსპერტო კომისიას დაევალოს საექსპერტო კომისიის წევრთა ცალკეული საექსპერტო დასკვნების შეჯერების საფუძველზე წარმოადგინოს საექსპერტო კომისიის დასკვნა ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 7 დღის ვადაში;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი



გულუას ქ.6, 0114 თბილისი, საქართველო
ტელ: 272 72 20, 272 72 61, 272 72 09

KA060146352180118

№ 929

14 / მარტი / 2018 წ.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელს ქალბატონ მაია ბერაძეს

ქალბატონო მაია,

გიგზავნით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი, გუმათის
ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ფუნქციონირების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების
ანგარიშისთვის, ბიომრავალფეროვნების სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თეონა
ქარჩავას საექსპერტო დასკვნას.

დანართი 1 გვ.

პატივისცემით,

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ნონა ხელაია

საექსპერტო დასკვნა

საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში გუმათის
ჰიდროელექტროსადგურების კასკადის ფუნქციონირების გზშ-ს ანგარიშის
ბიომრავალფეროვნების ნაწილზე

საჭიროდ მიმაჩნია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების გაცემიდან 3 თვის
ვადაში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად
წარმოდგენილ იქნას:

თევზამრიდი კონსტრუქციის მოწყობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;


იქთიოფაუნის არსებობის, მასზე შესაძლო ზემოქმედებისა და ამ ზემოქმედების
თავიდან აცილების, შერბილების და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო
ქმედებების თაობაზე ინფორმაცია.

გზშ-ს ანგარიშში მოტანილი, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების
და თავიდან აცილების ქმედებების შესრულება აუცილებლად მიმაჩნია.

ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

თეონა ქარჩავა



თბილისი, 12.03.2018

ექსპერტიზის დასკვნა

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში, სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს გუმათის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პრობლემაში კასკადის ფუნქციონირების საპროექტო დოკუმენტაციაზე

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს მიერ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია გუმათის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პრობლემაში კასკადის ფუნქციონირების საპროექტო დოკუმენტაცია.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს მიერ დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ ქუთაისის მიმდებარე ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 03.03.02.050).

გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ექსპლუატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაცემულია 2008 წლის 5 თებერვალს (მინისტრის ბრძანება N134). 2017 წელს სს „ენერგო პრო ჯორჯია“-ს გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცა სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს. (მინისტრის ბრძანება N-766)

კასკადის ტექნიკური პროექტი ორსაფეხურიანია: გუმათჰესი I-ის კაშხალი და გუმათჰესი II-ის სადერივაციო ნაგებობა. კასკადის ჰესები ექსპლუატაციაში გადაცემული იქნა სხვადასხვა დროს, კერძოდ: გუმათი II ექსპლუატაციაში გაშვებული იქნა 1956 წელს, ხოლო გუმათი I- 1958 წელს. გუმათჰესი I დადგმული სიმძლავრე იყო 44 მგვტ, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ 2013-2016 წლებში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდგომ მისი დადგმული სიმძლავრე გაიზარდა (ჰიდროაგრეგატების ცვლილებით) და გახდა 46, 7 მგვტ. რაც შეეხება გუმათჰესი II-ს მისი დადგმული სიმძლავრე არ შეცვლილა და შეადგენს 22,8 მგვტ-ს. დღეისათვის გუმათის კასკადის ჯამური სიმძლავრე 69,5 მგვტ-ია გუმათის ჰიდროელექტროსადგურის დაწნევის უზრუნველსაყოფად, წყლის დონის აწევის მიზნით მდ. რიონზე, ქ. ქუთაისის ზემოთ აგებული იქნა ბეტონის გრავიტაციული კაშხალი, რომელმაც 25 მ სიმაღლეზე შეტბორა მდინარის ხეობა. წყალი გუმათჰესი I-ის ქვედა ბიეფიდან სადერივაციო არხის მეშვეობით მიემართება გუმათჰესი II-კენ.

გამოყენებული წყალი გამყვანი არხით ჩაედინება მდ. რიონში, რიონჰესის კაშხლის ზედა ბიეფში. კაშხლის კვეთში მდ. რიონის ჰიდროლოგიური პარამეტრებია: $Q_{მინ}=12$ მ³/წმ, $Q_{მაქს}=1400$ მ³/წმ, $Q_{საშ}=127$ მ³/წმ.

გუმათჰესი I-ის ძირითადი ჰიდროტექნიკური ნაგებობებია: ბეტონის გრავიტაციული კაშხალი, კაშხლის კვეთში განლაგებული დაწნევითი კალაპოტური შენობა და გუმათჰესი II-ის არხისკენ გარდამავალი უბანი.

ბეტონის კაშხალი შედგება წყალსაშვი და ორი სანაპირო ყურე ნაწილებისგან. კაშხლის წყალსაშვის ნაწილი განლაგებულია მდ. რიონის კალაპოტის შუა ნაწილში, სიგრძე აქვს 71 მ, სიგანე საგებზე 41 მ. მაქსიმალური სამშენებლო სიმაღლე 52,5 მ, მაქსიმალური ჩაღრმავება მდინარის კალაპოტის ქვეშ 19 მ. საგებიდან ამოღებულია ალუვიური გრუნტი და კაშხალი ძირითად კლდოვან ქანებზეა აგებული.

წყალსაშვის ქედი ბურჯებით არის განცალკევებული 4 მალად, 14 მ-იანი დაშორებით. წყალსაშვს შეუძლია წყალუხვობის პერიოდში ქვედა ბიეფისკენ გაატაროს 2 560 მ³/წმ წყალი. ბურჯების ქვედა ნაწილებზე გადის ხიდი, რომლის სავალი ნაწილი 6 მ სიგანისაა. ქვედა ბიეფში კაშხლის 3 მალას აქვს ჩამხშობი. კაშხალს გააჩნია ორი სადრენაჟო-სათვალთვალო გალერეა.

მარჯვენა ნაპირზე განლაგებული ყრუ კაშხალის სიგრძეა 72,6 მ. მარცხენა ნაპირის-65,9 მ. ყრუ კაშხლების თავზე გადის 6,9 მ სიგანის გზა, რომელიც ჰესის კაშხალსა და ნაგებობებზე გამავალი ხიდის გაგრძელებას წარმოადგენს.

წყალსაცავის საპროექტო მოცულობა შეადგენდა 35 მლნ მ³-ს, ხოლო სასარგებლო მოცულობა 13 მლნ მ³-ს, რაც ორივე სადგურზე დღეღამური რეგულირების საშუალებას იძლეოდა. წყალსაცავის ექსპლუატაციის პირველ წლებში დიდი ყურადღება ექცეოდა წყლის სასარგებლო მოცულობის შენარჩუნებას და პერიოდულად ტარდებოდა მისი ნატანისაგან გაწმენდა. წყალსაცავის ჰიდრაულიკური რეცხვა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში არ ჩატარებულა და წყალსაცავის მთელი მოცულობა შევსებულია მყარი ნატანით.

დღეისათვის წყალსაცავის ფაქტიური მოცულობა (დაუზუსტებელი მონაცემებით) არ აღემატება 2 მლნ მ³-ს და ჰესები მუშობენ ბუნებრივ ჩამონადენზე, როგორც არარეგულირებადი ჰესები.

ჰესის შენობა განლაგებულია მარცხენა ნაპირის ყრუ და კაშხლის წყალჩასაშვებ ნაწილებს შორის და წარმოადგენს წყლის შესატბორ ნაგებობას. ზედა მხრიდან ჰესის

წინა კედელს გააჩნია 4 წყალმიმღები კამერა, სიგანით 5 მ, საიდანაც გადის ბეტონით მოპირკეთებული მეტალის მილსადენი, გათვალისწინებული 53,5 მ³/წმ წყლის გასატარებლად. აქვეა განლაგებული კიდევ ერთი წყალმიმღები კამერა, რომლის დანიშნულებაც წყლის სისტემატური მიწოდება გალერეაში გუმათჰესი II-ის მიმართულებით იმ შემთხვევისთვის, თუ კი გუმათჰესი I იძულებით გაჩერდება. გალერეის წყალგამტარიანობა სრული დაწნევის დროს შეადგენს 105 მ³/წმ-ს. ყველა წყალმიმღები კამერა აღჭურვილია ხშირი გისოსით და მეტალის საკეტებით. წყალმიმღები კამერების ქვემოთ სადგურის დაწნევით კედელში განლაგებულია 4 გამრეცხი გალერეა კვეთით 2.0 x 2.0 მ, რომლებიც აღჭურვილია სამუშაო და სარემონტო საკეტებით. გალერეები გადის ჰესის შენობის ფუნდამენტში. თითოეული გამრეცხი გალერეის წყალგამტარიანობა 64 მ³/წმ-ია. ჰესის წყალმიმღების საკეტების მანიპულირება ხდება ამწე მექანიზმებით, გისოსებს და გამრეცხების ფარებს ემსახურება 30 ტ ტ.ა. ხიდურა ამწე. გუმათი I-ის მიერ გამოყენებული წყალი მიემართება გუმათჰესი II-ის სადერვაციო არხისკენ. მათ შორის გარდამავალი უბანი სიგრძით 97 მ-ია, სიგანე დასაწყისში 48.6 მ-ია, ბოლოში - 18.2 მ. გუმათჰესი II-ის სადერვაციო არხის შესასვლელი აღჭურვილია საკეტებით, ზომით 5.0 - 4.0მ.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობა, კლიმატურ-მეტეოროლოგიური, გეოლოგიური და სეისმური პირობები. ბიომრავალფეროვნების მხრივ, საპროექტო გუმათი ჰესის კასკადი უკვე მოქმედებს 60 წლის განმავლობაში მისი მიმდებარე ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას.

დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაციით წყალსაცავის პერიმეტრისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობის უშუალო სიახლოვეს ვიზუალურად არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი უარყოფითი გეოდინამიური პროცესი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს წყალსაცავზე მასშტაბური ზემოქმედება. ზედა და ქვედა ბიეფში გამოვლენილი იქნა შედარებით ლოკალური არამდგრადი უბნები, რომლებიც მოითხოვს მხოლოდ პერმანენტულ გეოლოგიურ მონიტორინს მათი დინამიკის შესწავლისათვის და შემდგომ შესწავლის შედეგებზე დაფუძნებულ რეაგირებას. იმ შემთხვევაში თუ მონიტორინგის შედეგად დადგინდება ლოკალური არამდგრადი უბნების მეწყერულ სხეულებად ჩამოყალიბება, მისი მასშტაბიდან და მოძრაობის ტიპის დადგენის შემდგომ იქნება შესაძლებელი მხოლოდ შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ საქმიანობის პროცესში მოსალოდნელია დროებითი სამშენებლო მოედნის (ბაზის) ფუნქციონირება, რომელიც ითვალისწინებს მყარი სამშენებლო, საწარმოო და მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებას

კონტეინერებში. წყალსარინი არხების მოწყობას და სანიაღვრე წყლების შეგროვებას შემდგომი სეპარირების მიზნით. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვება არსებულ ჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში, საიდანაც პერიოდულად გატანილი იქნება სპეციალური საასენიზაციო მანქანით. საწვავ-საპოხი მასალების შენახვა მოხდება სპეციალურ სასაწყობო სათავსში, რომლის ირგვლივ მოეწყობა მიწაყრილი ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში.

ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ერთვის, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.

III. პირობები


საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

1. სს „ენერჯო-პრო ჯორჯია გენერაცია“-მ საქმიანობა განახორციელოს გადაწყვეტილებით №18; 16.03.2018 გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით;
 - 4.1 საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გზშ-ს ანგარიშში მოცემული დასკვნებისა და რეკომენდაციების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად;
 - 4.2 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთანავე უზრუნველყოს გუმათიჰესის აკვატორიაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მუდმივი მონიტორინგის წარმოება საშიშ გეოდინამიკურ პროცესებზე და მონიტორინგის შედეგები 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს სამინისტროში განსახილველად. ფორსმაჟორულ სიტუაციაში გეოდინამიკური პროცესების გართულების ან/და იმ შემთხვევაში თუ მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთება გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების ტენდენცია, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს საინჟინრო ღონისძიებების პროექტის დამუშავება და განახორციელოს ყველა შესაძლო ღონისძიება არსებული მდგომარეობის სტაბილიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით.
 - 4.3 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან დაიწყოს და 9 თვეში სრულად განახორციელოს, ქვესადგურის და ზეთსაცავის ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების მოცილებისათვის საჭირო სადრენაჟე სისტემისა და ნავთობდამჭერი დანადგარის მოწყობა, ხოლო განხორციელებული სამუშაოების შესახებ პერიოდული (სამ თვეში ერთხელ) ანგარიშები წარმოადგინოს სამინისტროში.
 - 4.4 უზრუნველყოს მდინარის წყალმცირობის პერიოდში სანიტარული ხარჯის გატარება გრავიტაციული კაშხლის ქვემო ბიეფში არანაკლებ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%;
 - 4.5 განახორციელოს გუმათიჰესის წყალსაცავის გარეცხვის სამუშაოები რიონიჰესის წყალსაცავის გარეცხვის პარალელურად;
 - 4.6 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში ჰესის ეფექტური ფუნქციონირებისა და უსაფრთხოების გაზრდისთვის უზრუნველყოს სათავე ნაგებობის ზედა ბიეფში, წყალსაცავის გავლენის ზონის გარეთ, შესაბამისი წყლის დონის ავტომატიზირებული და ხარჯის გამოზომი საგუმზავის მოწყობა.
 - 4.7 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს წყალსაცავებიდან წყალდიდობების წყლის ხარჯების გატარების ან ავარიული გაშვებების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სათავე ნაგებობის ქვემო ბიეფში არსებული მდგომარეობის გამოკვლევა, სათანადო საინჟინრო ღონისძიებებისა და გამაფრთხილებელი სისტემის დასახვა-განხორციელება.
 - 4.8 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში შეიმუშაოს და სამინისტროში განსახილველად წარმოადგინოს გეოლოგიური პროცესების გააქტიურების შემთხვევაში, კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

- 4.9 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში შეიმუშაოს და სამინისტროში განსახილველად წარმოადგინოს თევზამრიდის კონსტრუქციის მოწყობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- 4.10 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში შეიმუშაოს და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს ქმედებათა დეტალური სქემა, შესრულების ვადების მითითებით, სადაც ასახული იქნება ინფორმაცია იქთიოფაუნის, მასზე შესაძლო ზემოქმედების და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ;
- 4.11 ნარჩენების მართვა უზრუნველყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად.
- 4.12 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

კომისიის თავმჯდომარე:


გიორგი უნაფქოშვილი



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დეპარტამენტის სტიქიური პროცესების, საინჟინრო-გეოლოგიის და გეოეკოლოგიის სამმართველოს გეოეკოლოგიურ გართულებებზე რეაგირების ჯგუფის წამყვანი სპეციალისტი;


კომისიის წევრები:

ზადრი ცატავა



გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი.

თეონა ქარჩავა



ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.



გარემოს ეროვნული სააგენტო
NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY



KA990134832085218

დაღმარების გამზ.150, 0112, თბილისი, საქართველო
150 D.AGMASHENEBELI AVE., 0112, TBILISI, GEORGIA
Web:www.meteo.gov.ge

Tel.:+995 32 2439502 Fax: +995 32 2439503
E-mail: info@meteo.gov.ge

21/1539

20 / მარტი /
2018 წ.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელს
ქ-ნ მაია ბერაძეს

ქალბატონო მაია,

თქვენი 2018 წლის 5 მარტის #835 წერილის პასუხად, რომელიც ეხება სს „ენერჯო პროჯორჯია გენერაცია“-ს კუთვნილებაში არსებული გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ფუნქციონირების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, გიგზავნით საექსპერო კომისიის წევრის გეოლოგიის დეპარტამენტის გეოეკოლოგიურ გართულებებზე რაგირების ჯგუფის სპეციალისტის გიორგი უნაფქოშვილის დასკვნას:

ჩვენს მიერ გ.ზ.შ.-ს წინასწარი განხილვის ანგარიშის მიმართ გამოთქმული შენიშვნები არ არის გათვალისწინებული საბოლოო ანგარიშში.

ანგარიშში მოცემულია საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების შესაძლო მიზეზები. აქედან გამომდინარე მეწყრული და ეროზიული პროცესების სავარაუდო განვითარების უბნებზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანამედროვე წინასწარი გაფრთხილების სისტემის ხელსაწყოების ინსტალირება და მონიტორინგის წარმოება.

გ.ზ.შ-ს ანგარიშში არ არის წარმოდგენილი საშიში გეოლოგიური პროცესების გააქტიურების შემთხვევაში, კონკრეტულად თუ რა სახის შემარბილებელი ღონისძიებების გატარება გახდება საჭირო.

პატივისცემით,

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი

ნინო თანდილაშვილი

საექსპერტო დასკვნა


საექსპლუატაციო პარამეტრების პირობებში გუმათის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის ფუნქციონირების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილზე

ჩვენს მიერ გ.ზ.შ.-ს წინასწარი განხილვის ანგარიშის მიმართ გამოთქმული შენიშვნები არ არის გათვალისწინებული საბოლოო ანგარიშში.

ანგარიშში მოცემულია საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების შესაძლო მიზეზები. აქედან გამომდინარე შეწყვეტილი და ეროზიული პროცესების სავარაუდო განვითარების უბნებზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანამედროვე წინასწარი გაფრთხილების სისტემის ხელსაწყოების ინსტალირება და მონიტორინგის წარმოება;

გ.ზ.შ.-ს ანგარიშში არ არის წარმოდგენილი საშიში გეოლოგიური პროცესების გააქტიურების შემთხვევაში, კონკრეტულად თუ რა სახის შემარბილებელი ღონისძიებების გატარება გახდება საჭირო.

გეოლოგიური დეპარტამენტის
გეოლოგიურ გართულებებზე
რეაგირების ჯგუფის
წამყვანი სპეციალისტი

 გ. უნაფქომვილი

საექსპერტო დასკვნა

საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში გუმათის
ჰიდროელექტროსადგურების კასკადის ფუნქციონირების გზშ-ს ანგარიშის
ბიომრავალფეროვნების ნაწილზე

საქიროდ მიმაჩნია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების გაცემიდან 3 თვის ვადაში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილ იქნას:

თევზამრდი კონსტრუქციის მოწყობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;

იქიდიფაუნის არსებობის, მასზე შესაძლო ზემოქმედებისა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ქმედებების თაობაზე ინფორმაცია.


გზშ ს ანგარიშში მოტანილი, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების შესრულება აუცილებლად მიმაჩნია.

ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

თეონა ქარჩავა

თბილისი, 12.03.2018





გარემოს ეროვნული სააგენტო
NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY



KA990129568642018

დაღმარეული გამზ.150, 0112, თბილისი, საქართველო
150 D.AGMASHENEBELI AVE., 0112, TBILISI, GEORGIA
Web:www.meteo.gov.ge

Tel.:+995 32 2439502 Fax: +995 32 2439503
E-mail: info@meteo.gov.ge

21/1388

**13 / მარტი /
2018 წ.**

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ მაია
ბერაძეს

ქალბატონო მაია,

გიგზავნით გუმათის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის ფუნქციონირების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე გარემოს დაზიანებულების მონიტორინგის დეპარტამენტის საექსპერტო დასკვნას დანართის სახით.

დანართი: საექსპერტო დასკვნა 1 ფურცელზე

პატივისცემით,

რამაზ გერლიანი


სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოადგილე

საექსპერტო დასკვნა
გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის
ფუნქციონირების პროექტის გარემოზე ზემოქმედების
შეფასების ანგარიშზე.

წარმოდგენილი პროექტის გზშ-ს ანგარიშზე საპირობო შენიშვნები არა მოქვს.

პატივისცემით,

ბ. ცაბავა


13.03.18 წწ



საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-219

10/04/2018

ქ. თბილისი

სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს მიერ გუმათის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში კასკადის ფუნქციონირების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს მიერ წარმოდგენილია მის კუთვნილებაში არსებული გუმათის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში კასკადის ფუნქციონირების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი:
სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს მიერ დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ ქუთაისის მიმდებარე ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 03.03.02.050).

გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ექსპლუატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაცემულია 2008 წლის 5 თებერვალს (მინისტრის ბრძანება N134). 2017 წელს სს „ენერგო პრო ჯორჯია“-ს გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცა სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს. (მინისტრის ბრძანება Nი-766)

კასკადის ტექნიკური პროექტი ორსაფეხურიანია: გუმათჰესი I-ის კაშხალი და გუმათჰესი II-ის სადერივაციო ნაგებობა. კასკადის ჰესები ექსპლუატაციაში გადაცემული იქნა სხვადასხვა დროს, კერძოდ: გუმათი II ექსპლუატაციაში გაშვებული იქნა 1956 წელს, ხოლო გუმათი I- 1958 წელს. გუმათჰესი I დადგმული სიმძლავრე იყო 44 მგვტ, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ 2013-2016 წლებში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდგომ მისი დადგმული სიმძლავრე გაიზარდა (ჰიდროაგრეგატების ცვლილებით) და გახდა 46, 7 მგვტ. რაც შეეხება გუმათჰესი II-ს მისი დადგმული სიმძლავრე არ შეცვლილა და შეადგენს 22,8 მგვტ-ს. დღეისათვის გუმათის კასკადის ჯამური სიმძლავრე 69,5 მგვტ-ია გუმათის ჰიდროელექტროსადგურის დაწნევის უზრუნველსაყოფად, წყლის დონის აწევის მიზნით მდ. რიონზე, ქ. ქუთაისის ზემოთ აგებული იქნა ბეტონის გრავიტაციული კაშხალი, რომელმაც 25 მ სიმაღლეზე შეტბორა მდინარის ხეობა. წყალი გუმათჰესი I-ის ქვედა ბიეფიდან სადერივაციო არხის მეშვეობით მიემართება გუმათჰესი II-კენ. გამოყენებული წყალი გამყვანი არხით ჩაედინება მდ. რიონში, რიონჰესის კაშხლის ზედა ბიეფში. კაშხლის კვეთში მდ. რიონის ჰიდროლოგიური პარამეტრებია: Qმინ=12 მ3/წმ, Qმაქს=1400 მ3/წმ, Qსაშ=127 მ3/წმ.

გუმათჰესი I-ის ძირითადი ჰიდროტექნიკური ნაგებობებია: ბეტონის გრავიტაციული კაშხალი, კაშხლის კვეთში განლაგებული დაწნევითი კალაპოტური შენობა და გუმათჰესი II-ის არხისკენ გარდამავალი უბანი.

ბეტონის კაშხალი შედგება წყალსაშვი და ორი სანაპირო ყურე ნაწილებისგან. კაშხლის წყალსაშვის ნაწილი განლაგებულია მდ. რიონის კალაპოტის შუა ნაწილში, სიგრძე აქვს 71 მ, სიგანე საგებზე 41 მ. მაქსიმალური სამშენებლო სიმაღლე 52,5 მ, მაქსიმალური ჩაღრმავება მდინარის კალაპოტის ქვეშ 19 მ. საგებიდან ამოღებულია ალუვიური გრუნტი და კაშხალი ძირითად კლდოვან ქანებზეა აგებული.

წყალსაშვის ქედი ბურჯებით არის განცალკევებული 4 მაღად, 14 მ-იანი დაშორებით. წყალსაშვს შეუძლია წყალუხვობის პერიოდში ქვედა ბიეფისკენ გაატაროს 2 560 მ³/წმ წყალი. ბურჯების ქვედა ნაწილებზე გადის ხიდი, რომლის სავალი ნაწილი 6 მ სიგანისაა. ქვედა ბიეფში კაშხლის 3 მაღას აქვს ჩამხშობი. კაშხალს გააჩნია ორი სადრენაჟო-სათვალთვალო გალერეა.

მარჯვენა ნაპირზე განლაგებული ყრუ კაშხალის სიგრძეა 72,6 მ. მარცხენა ნაპირის-65,9 მ. ყრუ კაშხლების თავზე გადის 6,9 მ სიგანის გზა, რომელიც ჰესის კაშხალსა და ნაგებობებზე გამავალი ხიდის გაგრძელებას წარმოადგენს.

წყალსაცავის საპროექტო მოცულობა შეადგენდა 35 მლნ მ³-ს, ხოლო სასარგებლო მოცულობა 13 მლნ მ³-ს, რაც ორივე სადგურზე დღეღამური რეგულირების საშუალებას იძლეოდა. წყალსაცავის ექსპლუატაციის პირველ წლებში დიდი ყურადღება ექცეოდა წყლის სასარგებლო მოცულობის შენარჩუნებას და პერიოდულად ტარდებოდა მისი ნატანისაგან გაწმენდა. წყალსაცავის ჰიდრავლიკური რეცხვა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში არ ჩატარებულა და წყალსაცავის მთელი მოცულობა შევსებულია მყარი ნატანით.

დღეისათვის წყალსაცავის ფაქტური მოცულობა (დაუზუსტებელი მონაცემებით) არ აღემატება 2 მლნ მ³-ს და ჰესები მუშობენ ბუნებრივ ჩამონადენზე, როგორც არარეგულირებადი ჰესები.

ჰესის შენობა განლაგებულია მარცხენა ნაპირის ყრუ და კაშხლის წყალჩასაშვებ ნაწილებს შორის და წარმოადგენს წყლის შესატბორ ნაგებობას. ზედა მხრიდან ჰესის წინა კედელს გააჩნია 4 წყალმიმღები კამერა, სიგანით 5 მ, საიდანაც გადის ბეტონით მოპირკეთებული მეტალის მილსადენი, გათვალისწინებული 53,5 მ³/წმ წყლის გასატარებლად. აქვეა განლაგებული კიდევ ერთი წყალმიმღები კამერა, რომლის დანიშნულებაცაა წყლის სისტემატური მიწოდება გალერეაში გუმათჰესი II-ის მიმართულებით იმ შემთხვევისთვის, თუ კი გუმათჰესი I იძულებით გაჩერდება. გალერეის წყალგამტარიანობა სრული დაწნევის დროს შეადგენს 105 მ³/წმ-ს. ყველა წყალმიმღები კამერა აღჭურვილია ხშირი გისოსით და მეტალის საკეტებით. წყალმიმღები კამერების ქვემოთ სადგურის დაწნევით კედელში განლაგებულია 4 გამრეცხი გალერეა კვეთით 2.0 x 2.0 მ, რომლებიც აღჭურვილია სამუშაო და სარემონტო საკეტებით. გალერეები გადის ჰესის შენობის ფუნდამენტში. თითოეული გამრეცხი გალერეის წყალგამტარიანობა 64 მ³/წმ-ია. ჰესის წყალმიმღების საკეტების მანიპულირება ხდება ამწე მექანიზმებით, გისოსებს და გამრეცხების ფარებს ემსახურება 30ტ ტ.ა. ხიდურა ამწე. გუმათი I-ის მიერ გამოყენებული წყალი მიემართება გუმათჰესი II-ის სადერვაციო არხისკენ. მათ შორის გარდამავალი უბანი სიგრძით 97 მ-ია, სიგანე დასაწყისში 48.6 მ-ია, ბოლოში - 18.2 მ. გუმათჰესი II-ის სადერივაციო არხის შესასვლელი აღჭურვილია საკეტებით, ზომით 5.0 - 4.0მ.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობა, კლიმატურ-მეტეოროლოგიური, გეოლოგიური და სეისმური პირობები. ბიომრავალფეროვნების მხრივ, საპროექტო გუმათი ჰესის კასკადი უკვე მოქმედებს 60 წლის განმავლობაში მისი მიმდებარე ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას.

დოკუმენტაში მოცემული ინფორმაციით წყალსაცავის პერიმეტრისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობის უშუალო სიახლოვეს ვიზუალურად არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი უარყოფითი გეოდინამიური პროცესი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს წყალსაცავზე მასშტაბური ზემოქმედება. ზედა და ქვედა ბიეფში გამოვლენილი იქნა შედარებით ლოკალური არამდგრადი უბნები, რომლებიც მოითხოვს მხოლოდ პერმანენტულ გეოლოგიურ მონიტორინგს მათი დინამიკის შესწავლისათვის და შემდგომ შესწავლის შედეგებზე დაფუძნებულ რეაგირებას. იმ შემთხვევაში თუ მონიტორინგის შედეგად დადგინდება ლოკალური არამდგრადი უბნების მეწყერულ სხეულებად ჩამოყალიბება, მისი მასშტაბიდან და მოძრაობის ტიპის დადგენის შემდგომ იქნება შესაძლებელი მხოლოდ შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ საქმიანობის პროცესში მოსალოდნელია დროებითი სამშენებლო მოედნის (ბაზის) ფუნქციონირება, რომელიც ითვალისწინებს მყარი სამშენებლო, საწარმოო და მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებას კონტეინერებში. წყალსარინი არხების მოწყობას და სანიაღვრე წყლების შეგროვებას შემდგომი სეპარირების მიზნით. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვება არსებულ პერმეტულ საასენიზაციო ორმოში, საიდანაც პერიოდულად გატანილი იქნება სპეციალური საასენიზაციო მანქანით. საწვავ-საპოხი მასალების შენახვა მოხდება სპეციალურ სასაწყობო სათავსში, რომლის ირგვლივ მოეწყობა მიწაყრილი ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში.

აღნიშნული გზშ-ს ანგარიში განიხილა შესაბამისმა ექსპერტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით (ბიომრავალფეროვნების, გეოლოგიის და დაბინძურების) რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №18; 16.03.2018 და მიენიჭოს საქმიანობის განხორციელების უფლება სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს გუმათის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სს „ენერგოპრო ჯორჯია“-ს გუმათის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2008 წლის 5 თებერვლის #ი-134 ბრძანება;
3. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
4. სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-მ საქმიანობა განახორციელოს გადაწყვეტილებით №18; 16.03.2018 გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით;

- 4.1 საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გზშ-ს ანგარიშში მოცემული დასკვნებისა და რეკომენდაციების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად;
- 4.2 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთანავე უზრუნველყოს გუმათიჰესის აკვატორიაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მუდმივი მონიტორინგის წარმოება საშიშ გეოდინამიკურ პროცესებზე და მონიტორინგის შედეგები 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს სამინისტროში განსახილველად. ფორსმაჟორულ სიტუაციაში გეოდინამიკური პროცესების გართულების ან/და იმ შემთხვევაში თუ მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთება გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების ტენდენცია, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს საინჟინრო ღონისძიებების პროექტის დამუშავება და განხორციელოს ყველა შესაძლო ღონისძიება არსებული მდგომარეობის სტაბილიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით.
- 4.3 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან დაიწყოს და 9 თვეში სრულად განხორციელოს, ქვესადგურის და ზეთსაცავის ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების მოცილებისათვის საჭირო სადრენაჟე სისტემისა და ნავთობდამჭერი დანადგარის მოწყობა, ხოლო განხორციელებული სამუშაოების შესახებ პერიოდული (სამ თვეში ერთხელ) ანგარიშები წარმოადგინოს სამინისტროში.
- 4.4 უზრუნველყოს მდინარის წყალმცირობის პერიოდში სანიტარული ხარჯის გატარება გრავიტაციული კაშხლის ქვემო ბიეფში არანაკლებ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%;
- 4.5 განხორციელოს გუმათიჰესის წყალსაცავის გარეცხვის სამუშაოები რიონიჰესის წყალსაცავის გარეცხვის პარალელურად;
- 4.6 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში ჰესის ეფექტური ფუნქციონირებისა და უსაფრთხოების გაზრდისთვის უზრუნველყოს სათავე ნაგებობის ზედა ბიეფში, წყალსაცავის გავლენის ზონის გარეთ, შესაბამისი წყლის დონის ავტომატიზირებული და ხარჯის გამზომი საგუშაგოს მოწყობა.
- 4.7 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს წყალსაცავებიდან წყალდიდობების წყლის ხარჯების გატარების ან ავარიული გაშვებების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სათავე ნაგებობის ქვემო ბიეფში არსებული მდგომარეობის გამოკვლევა, სათანადო საინჟინრო ღონისძიებებისა და გამაფრთხილებელი სისტემის დასახვა-განხორციელება.
- 4.8 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში შეიმუშაოს და სამინისტროში განსახილველად წარმოადგინოს გეოლოგიური პროცესების გააქტიურების შემთხვევაში, კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.
- 4.9 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში შეიმუშაოს და სამინისტროში განსახილველად წარმოადგინოს თევზამრდიის კონსტრუქციის მოწყობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;

- 4.10 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში შეიმუშაოს და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს ქმედებათა დეტალური სქემა, შესრულების ვადების მითითებით, სადაც ასახული იქნება ინფორმაცია იქთიოფაუნის, მასზე შესაძლო ზემოქმედების და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ;
- 4.11 ნარჩენების მართვა უზრუნველყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად.
- 4.12 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი

3000238
28.02.18

ბატონო ლევან,

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს 48-ე მუხლის პირველის ნაწილის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაღებად წარმოგიდგენთ, საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში სს „ენერგო პრო-ჯორჯია გენერაცია“-ს კუთვნილებაში არსებული გუმათის ჰიდროელექტროსადგურების ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი შენიშვნებში გათვალისწინებული და ასახულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში და პოზიტიური დოკუმენტში.


გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში სს „ენერგო პრო-ჯორჯია გენერაცია“-ს კუთვნილებაში არსებულ გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე.

დანართები:

1. „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ – 5 ეგზემპლარი;
2. არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი;
3. ტექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი;
4. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
5. სს „ენერგო-პრო-ჯორჯია გენერაცია“-ს პასუხები, წინასწარი განხილვის დროს წარდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე;
6. გარემოზე ზემოქმედების სანაბართვო მოსაკრებლის დამადასტურებელი ქვითარი;
7. საჯარო განხილვის სხდომის ოქმი;
8. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
9. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი
მიხეილ ხოცვაძე



შეზღვევით, ლევან იოსელიანი (577 351 397)

სს-2645
01.08.18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო



გაეროს დახმობა და
სოფლის მეურნეობის
საინჟინერო

N 2866/01
11/04/2018

2866-01-2-201804111250



სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“

თქვენი მიმდინარე წლის 1 მარტის №2545 წერილის საფუძველზე გიგზავნით ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში, სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ გუმათის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში კასკადის ფუნქციონირების პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის №2-219 ბრძანებას;

დანართი 5 გვერდი.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

საერთაშორისო ბარათებს დაგვიყავს და სოფლურ მუშაობის საშინისტრო

© საპარტო განხილვები / დოკუმენტები © საპარტო ინფორმაცია © განმარტების ფორმები © სერვისები © ვებ-გვერდი რუკა

© დახმობილი ვიდეო © TWINNING PROJECT © დახმობილი ვიდეო (განმ)

სამინისტროს მუშაობა სიახლეები კანონმდებლობა თემები საზოგადოებასთან ურთიერთობა განმარტები პრეზენტები კარიერა

16 აპრილი 2018 | სს „ენერჯო-პრო ჯორჯია მენერჯის“-ს მიერ გუბერნიის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში კასკადის ფუნქციონირების მარეგულირების დახმობითი გადაწყვეტილება

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება



- სკრინინგის განცხადება
- სკრინინგის გადაწყვეტილება
- სკოპინგის განცხადება
- სკოპინგის დასკვნა
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადება
- მიმდინარე საემიანობის გარემოსდაცვითი მოვლის უწყვეტი მიღების თაობაზე განცხადება
- მიმდინარე საემიანობის გარემოსდაცვითი მოვლის შესახებ გადაწყვეტილება
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები
- საემიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება
- საკარო განხილვები
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის

საჯარო განხილვის

ოქმი

(ქ. ქუთაისი 2017 წლის 18 მაისი)

საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების

საჯარო განხილვის ოქმი

შესავალი

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესაბამისად, გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვა და განხილვის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ცენტრალური გაზეთის და გარემოსდაცვითი ქსელების მეშვეობით. საჯარო განხილვა ჩატარდა ქ. ქუთაისის მერიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

- | | |
|--------------------------|--|
| 1. ელგუჯა კუპრავა | გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ხელმძღვანელი |
| 2. ირაკლი ფირცხალაიშვილი | გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ნებართვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი |
| 3. მარიამ მჭედლიშვილი | სხდომის თავმჯდომარე, სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“, გარემოსდაცვითი მმართველი |
| 4. ლევან იოსელიანი | სხდომის მდივანი, სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“ გეო-ეკოლოგი |
| 5. დავით გოჩიაშვილი | საკონსულტაციო ფირმის წარმომადგენელი |

პროექტის გზმ ანგარიშის პრეზენტაცია წარმოდგენილ იქნა მარიამ მჭედლიშვილის მიერ. მიონაწილეთა ურთიერთწარდგენის შემდეგ მან მაღლობა მოახსენა დამსწრე საზოგადოებას განხილვაში მონაწილეობისათვის და აღნიშნა, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხრიდან გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს დიდი მნიშვნელობა აქვს გზმ ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში. შესავალ ნაწილში მან დამსწრეთ მოახსენა, თუ როგორია „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ პოლიტიკა და მიდგომები გარემოსდაცვითი და სოციალური

საკითხების მართვის მიმართ აღნიშნული პროექტის ფარგლებში. ამის შემდეგ მომხსენებელმა დამსწრეთ
გააჩნო ინფორმაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის შესახებ. გაანალიზებული იქნა
მონაცემები რომლის თანახმადაც სიმძლავრის გაზრდასთან დაკავშირებული ცვლილებები არ იქონიებს
ზემოქმედებას ეკოლოგიური (წყლის, ნიადაგის და ჰაერის დაბინძურება, გავლენა
ბიომრავალფეროვნებაზე) თვალსაზრისით, რადგან ზემოაღნიშნული ჰესი ფუნქციონირებს გასული
საუკუნის 50-იანი წლებიდან და ეკოსისტემები, როგორც წყლის ასევე ხმელეთის ადაპტირებულია
ცვლილებებთან. დამატებით აღინიშნა, რომ სიმძლავრის გაზრდა უკვე არსებულ ჰესებზე გაცილებით
ნაკლებ ეკოლოგიურ ზეგავლენას ახდენს გარემოზე, ვიდრე ახალი თუნდაც მცირე
ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

განხილვის თავმჯდომარე

მარიამ მჭედლიშვილი

სს „ენერჯო-პრო ჯორჯიაგენერაციის“
გარემოსდაცვითი მართველი, გარემოს
დაცვის განყოფილების უფროსი

სხდომის მდივანი

ლევან იოსელიანი

შორის ჰიდროელექტროსადგურის
ხელმძღვანელი

გარემოზე ზემოქმედების
ნებართვების დეპარტამენტის
ნებართვების სამმართველოს მთავარი
სპეციალისტი

ირაკლი ფირცხალაიშვილი



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18083110, 07/08/2018 14:47:36

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: სს ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია
სამართლებრივი ფორმა: სააქციო საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405182626
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 23/12/2016
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა, N19

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: energo-gen@energo-pro.ge
 დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

რეორგანიზაციის ისტორია

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	ოპერაცია	რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი	თარიღი
სს ენერგო - პრო ჯორჯია (205169066)	გამოყოფა	სს ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია (405182626)	23/12/2016

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიანობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- აქციონერთა კრება
- სამეთვალყურეო საბჭო

წევრი: 730109/3514, 36757543, , იარომირ ტესარი, ჩეხეთის რესპუბლიკა

ნევრი: 770716/3530, , , პეტრ ტესარი, ჩეხეთის რესპუბლიკა

ნევრი: 700216/0693, 42454835, , ვლასტიმილ ურადა, ჩეხეთის რესპუბლიკა

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- გენერალური დირექტორი - 01005008634, მიხეილ ბოცვაძე

ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

-
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
 - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
 - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შევსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
 - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
 - საქარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
 - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი



გულუას ქ.6, 0114 თბილისი, საქართველო
 ტელ: 272 72 20, 272 72 61, 272 72 09

KA060148065380317

№ 837

21 / მარტი / 2017 წ.

ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის
 უფროსს ბატონ კარლო ამირგულაშვილს

ბატონო კარლო,

წინასწარი განხილვის მიზნით გიგზავნით სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს მიერ წარმოდგენილ, მდ. რიონზე განთავსებული „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიში საჭიროებს რომელიმე საკითხის დაზუსტებას, ან დამატებით შესწავლას, გთხოვთ თქვენი შენიშვნები და მოსაზრებები მოგვაწოდოთ 2017 წლის 19 აპრილამდე, რათა დოკუმენტის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე საქმიანობის განმახორციელებელმა მოახდინოს მათი დროულად გათვალისწინება.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ სამინისტროში 2008 წელს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ, ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით წარმოდგენილი იქნა შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ტექნიკური და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ აიღო ვალდებულება გაეხორციელებინა რიგი სარეაბილიტაციო სამუშაოები და გაეახლებინა მონიტორინგის სისტემა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშზე ახალი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შემთხვევაში გაუქმდება სამინისტროს მიერ 2008 წელს გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა და შესაბამისად, 2008 წლის გზშ-ს ანგარიშით აღებული ვალდებულებები, ამიტომ „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან ერთად, გიგზავნით აღნიშნულ საქმიანობაზე 2008 წელს წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშს და ორივე დოკუმენტის ერთობლივად განხილვის შემდეგ, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმ ვალდებულებების შესახებ, რომელიც რელევანტურია აღნიშნული საქმიანობისათვის და მიზანშეწონილად მიგაჩნიათ მათი გადმოტანა ახალ გზშ-ს ანგარიშში.

დამატებით გთხოვთ, წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშზე შენიშვნების მომზადების დროს უზრუნველყოთ „გზშ-ს ანგარიშის განხილვის კითხვარის“ შევსება, რომელიც დანართის სახით ერთვის წერილს.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ გზშ-ს ანგარიშის მიმართ გამოთქმული შენიშვნების კომპლექსურად განხილვის მიზნით, სამინისტროში დაიგეგმება სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის თარიღი და დრო გეცნობებათ წინასწარ.

დანართი: გზშ-ს ანგარიშის ელექტრონული ვერსია და „გზშ-ს ანგარიშის განხილვის კითხვარი“.

9/6/2018

ადმინისტრაციული დეპარტამენტის ბლანკი

პატივისცემით,

დეპარტამენტის უფროსი

თ. ჯომიძე

თამარ შარაშიძე

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი



გულუას ქ.6, 0114 თბილისი, საქართველო
ტელ: 272 72 20, 272 72 61, 272 72 09

KA060146017974417

№ 1231

24 / აპრილი / 2017 წ.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ თამარ
შარაშიძეს

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2017 წლის 21 მარტის №837 წერილის პასუხად, სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს მიერ წარმოდგენილ, მდ. რიონზე განთავსებული „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „წყალსაცავის ჰიდრავლიკური რეცხვა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში არ ჩატარებულა და წყალსაცავის მთელი მოცულობა შევსებულია მყარი ნატანით“, რაც უარყოფითად აისახება იქტიოფაუნაზე. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დოკუმენტს დაემატოს იქტიოფაუნის ქვეთავი, სადაც აისახება სათანადო კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია: იქტიოფაუნის არსებობის, მასზე შესაძლო ზემოქმედებასა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ქმედებების თაობაზე.

ამასთან, გაცნობებთ, რომ „თევზჭერისა და თევზის მარაგის ტექნიკური რეგლამენტის (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №423 31.12.2013წ დადგენილებით) მე-14 მუხლის თანახმად, წყალამღები ნაგებობები, წყალაღებით არანაკლებ 5 000კუბ.მ დღე-ღამეში, აუცილებელია აღჭურვილი იყოს თევზამრიდი ნეგობობა-მოწყობილობებით.

მონიტორინგის გეგმაში, ექსპლუატაციის ეტაპზე დაემატოს იქტიოფაუნაზე ზემოქმედების კონტროლის საკითხი.

პატივისცემით,

დეპარტამენტის უფროსი

ვარლო ამირგულაშვილი



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF
GEORGIA



KA060179718183317

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

2742

27 / მარტი / 2017 წ.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს

წინასწარი განხილვის მიზნით გიგზავნით სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს მიერ წარმოდგენილ, მდ. რიონზე განთავსებული „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიში საჭიროებს რომელიმე საკითხის დაზუსტებას, ან დამატებით შესწავლას, გთხოვთ თქვენი შენიშვნები და მოსაზრებები მოგვაწოდოთ 2017 წლის 19 აპრილამდე, რათა დოკუმენტის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე საქმიანობის განმახორციელებელმა მოახდინოს მათი დროულად გათვალისწინება.

დამატებით გთხოვთ, წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშზე შენიშვნების მომზადების დროს უზრუნველყოთ „გზშ-ს ანგარიშის განხილვის კითხვარის“ შევსება, რომელიც დანართის სახით ერთვის წერილს.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ გზშ-ს ანგარიშის მიმართ გამოთქმული შენიშვნების კომპლექსურად განხილვის მიზნით, სამინისტროში დაიგეგმება სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის თარიღი და დრო გეცნობებათ წინასწარ.


დანართი: გზშ-ს ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატები.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

თამარ შარაშიძე

309000 309500 310000 310500 311000 311500 312000

ს ი ტ უ ა ც ი უ რ ი ბ ე ბ



309000 309500 310000 310500 311000 311500 312000



KA060236252096917

გ.გულუას ქ. N6 0114 თბილისი / საქართველო ტელ + 99 5 32 275 23 53 / ელ. ფოსტა daculebi@gmail.com
6 GULUA STREET / TBILISI / GEORGIA 0114 TEL +99 5 32 275 23 53/ EMAIL daculebi@gmail.com

N1015

06 / აპრილი / 2017 წ.

საქართველოს გარემოსა და
ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტროს გარემოზე
ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ თამარ შარაშიძეს

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2017 წლის 27 მარტის N2742 წერილის პასუხად, რომელიც ეხება სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს მიერ წარმოდგენილ, მდ. რიონზე განთავსებული „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკითხს, გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და რუკა, შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში (იხილეთ სიტუაციური გეგმა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის განხილვა სცილდება სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს კომპეტენციას.

დანართი: 1 გვ.

პატივისცემით,

თავმჯდომარის მოადგილე

თ.

თამა დეკანოიძე

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი



გულუას ქ.6, 0114 თბილისი, საქართველო
 ტელ: 272 72 20, 272 72 61, 272 72 09

KA060134026884717

№ 838

21 / მარტი / 2017 წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
 ქალბატონ თამარ ბაგრატიას

ქალბატონო თამარ,

წინასწარი განხილვის მიზნით გიგზავნით სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს მიერ წარმოდგენილ, მდ. რიონზე განთავსებული „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

იქიდან გამომდინარე, რომ განსახილველი საკითხი შეეხება ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციას, გთხოვთ გვაცნობოთ:

1. ჰიდროლოგიურ ნაწილში, მიმდინარეობს თუ არა მდ. რიონზე ჰიდროლოგიური დაკვირვება და რა პერიოდის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ, სააგენტოში არის ინფორმაცია, აღნიშნული მდინარის ჰიდროლოგიური პარამეტრების შესახებ, გთხოვთ უზრუნველყოთ მათი შედარება ანგარიშში მოცემულ ჰიდროლოგიურ პარამეტრებთან და მოგვაწოდოთ ინფორმაცია მათი იდენტურობის შესახებ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მდ. რიონი ჰიდროლოგიურად შეუსწავლელი მდინარეა, გთხოვთ უზრუნველყოთ ჰიდროლოგიური პარამეტრების დასადგენად გამოყენებული მეთოდების და გამოთვლების რელევანტურობის დადგენა და გვაცნობოთ თქვენი შენიშვნები და მოსაზრებები. გარდა, ამისა გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი დასაბუთებული მოსაზრება ანგარიშით გათვალისწინებული ეკოლოგიური ზარჯის საკმარისობის შესახებ;
2. გეოლოგიურ ნაწილთან დაკავშირებით, წარმოდგენილი ინფორმაციის საკმარისობა/მიზანშეწონილობა. წარმოდგენილი მასალის თქვენს ხელთ არსებულ ინფორმაციასთან შესაბამისობა და აღწერილი შემარბილებელი ღონისძიებების მიზანშეწონილობა.

ზემოაღნიშნული საკითხების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, გთხოვთ, აღნიშნული დოკუმენტის განხილვა დაავალთ ჰიდროტექნიკოსს, გეოლოგს, ჰიდროგეოლოგს, ჰიდროლოგს, კლიმატის სპეციალისტს, იქთიოლოგს და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის სპეციალისტებს.

იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიში არასრულყოფილია ან/და საჭიროებს რაიმე საკითხის დაზუსტებას ან დამატებით შესწავლას, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი შენიშვნები და მოსაზრებები 2017 წლის 19 აპრილამდე, რათა დოკუმენტის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე მოხდეს მათი გათვალისწინება საქმიანობის განმახორციელებლის მიერ.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ სამინისტროში 2008 წელს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ, ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით წარმოდგენილი იქნა შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ტექნიკური და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ აიღო ვალდებულება გაეხორციელებინა რიგი სარეაბილიტაციო სამუშაოები და გაეახლებინა მონიტორინგის სისტემა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშზე ახალი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შემთხვევაში გაუქმდება სამინისტროს მიერ 2008 წელს გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა და შესაბამისად, 2008 წლის გზშ-ს ანგარიშით აღებული ვალდებულებები, ამიტომ „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან ერთად, გიგზავნით აღნიშნულ საქმიანობაზე 2008 წელს წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშს და ორივე დოკუმენტის ერთობლივად განხილვის შემდეგ, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმ ვალდებულებების შესახებ, რომელიც რელევანტურია აღნიშნული საქმიანობისათვის და მიზანშეწონილად მიგაჩნიათ მათი გადმოტანა ახალ გზშ-ს ანგარიშში.


დამატებით გთხოვთ, წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშზე შენიშვნების მომზადების დროს უზრუნველყოთ „გზშ-ს ანგარიშის განხილვის კითხვარის“ შევსება, რომელიც დანართის სახით ერთვის წერილს.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ გზშ-ს ანგარიშის მიმართ გამოთქმული შენიშვნების კომპლექსურად განხილვის მიზნით, სამინისტროში დაიგეგმება სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის თარიღი და დრო გეცნობებათ წინასწარ.

დანართი: გზშ-ს ანგარიშის ელექტრონული ვერსია და „გზშ-ს ანგარიშის განხილვის კითხვარი“.

პატივისცემით,

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი



თამარ შალვაშიძე



KA990199385039917

დაღმარების გამზ.150, 0112, თბილისი, საქართველო
150 D.AGMASHENBELI AVE., 0112, TBILISI, GEORGIA

Tel.: +995 32 2439502 Fax: +995 32 2439503
E-mail: info@meteo.gov.ge Web: www.meteo.gov.ge

21/4167

24 / აპრილი /
2017 წ.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ თამარ
შარაშიძეს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს დეპარტამენტებმა განიხილა თქვენი წერილი № 838, 21.03.2017 წლის, რომლითაც წარმოდგენილია სს „ენერჯო პრო-ჯორჯია გენერაცია“-ს მდ. რიონზე განთავსებული „გუმათი-1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლოატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში.

წარმოგიდგინთ მათ შენიშვნებსა და მოსაზრებებს:

გეოლოგიის დეპარტამენტი:

ანგარიშში არ არის აღწერილი უშუალოდ საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური პირობები;

არ არის წარმოდგენილი გეოლოგიური პროცესების გააქტიურების შემთხვევაში, თუ რა სახის შემარბილებელი ღონისძიებების გატარება გახდება საჭირო;

მეწყერსაშიშ უბნებზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანამედროვე წინასწარი გაფრთხილების სისტემის ხელსაწყოების ინსტალირება და მონიტორინგის წარმოება.

მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტი:

წარმოდგენილ ანგარიშში საერთოდ არაა შეფასებული პროექტის არეალის წყლის ბიომრავალფეროვნება - ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის დროს ბიომრავალფეროვნების ყველაზე სენსიტიური კომპონენტი.

არაა წარმოდგენილი ინფორმაცია მაღალი ბიო-კონსერვაციული ღირებულების მქონე თევზების, მაკროუხერხემლოების, მაკროფიტების და ასოცირებული ფაუნის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ენდემების, რელიქტების, საქართველოს წითელი წუსხის სახეობების შესახებ.

არაა განსაზღვრული თუ რა კონკრეტული ზეგავლენა ექნება პროექტს (როგორც მშენებლობის, ისე ოპერირების ეტაპზე) აღნიშნულ ფორმებსა და მათ ჰაბიტატებზე. შესაბამისად ძალზედ ზოგადია ზეგავლენის შემარბილებელი და მაკონსერვაციული აქტივობების განხილვა და განსაზღვრა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ანგარიშის ამ სახით დამტკიცება.

ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი:

კლიმატურ ნაწილში არის შემდეგი შენიშვნები:

გზმ ანგარიშში ტერიტორიის კლიმატური დახასიათებისას (თავი 9.2) არის უზუსტობები, კერძოდ:

ტექსტურ ნაწილში მოყვანილი ზოგიერთი კლიმატური პარამეტრის მნიშვნელობა არ ემთხვევა ცხრილებში წარმოდგენილ სიდიდეებს. გასასწორებელია ტერმინი „ფონური ქარი“. უნდა იყოს - „ფიონი“, ან „ფიონური ქარი“.

გასასწორებელია ცხრილების სათაურები (გვ. 43). არის - „საერთო/ქვედა ნისლიანობა ბალებში“, უნდა იყოს - „ცის მოწმენდილი (0-2 ბალი), ნახევრად-მოწმენდილი (3-7 ბალი) და მოღრუბული (8-10 ბალი) მდგომარეობის განმეორებადობა საერთო/ქვედა ღრუბლიანობის მიხედვით (პროცენტებში)“.

არ არის მითითებული პროექტში მოყვანილი ზოგიერთი სტატისტიკური მაჩვენებლის ლიტერატურული წყარო. მაგ. ფიონური ქარების სიხშირე, ექსტრემალური ტემპერატურების განმეორებადობა არ იძებნება მითითებულ საცნობარო მასალებში.

პროექტში კლიმატური დახასიათებისას გამოყენებული მონაცემები აღებულია კლიმატური ცნობარებიდან (გამოშვება 14), რომლებიც ეყრდნობა 1935-1960 წლამდე დაკვირვების ინფორმაციას. გზმ ანგარიშში გამოყენებული უნდა ყოფილიყო ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებათა უფრო თანამედროვე პერიოდის მონაცემები. მით უმეტეს, საკვლევ ტერიტორიაზე დღემდე ფუნქციონირებს ქუთაისის მეტეოროლოგიური სადგური.

პროექტში არ არის წარმოდგენილი წყალსაცავის ზემოქმედება კლიმატურ პირობებზე. გზმ-ს თავდაპირველ ვერსიაში კლიმატზე ზემოქმედების ნაწილი (თავი 7.3.4.3) წარმოდგენილია ზოგადად, შესაბამისი რაოდენობრივი დასაბუთების და წყალსაცავის კლიმატზე ზეგავლენის არეალის შეფასების გარეშე.

ანგარიშის ჰიდროლოგიური ნაწილის მიმართ შენიშვნა არ გვაქვს.

სანაპირო ზონების მონიტორინგის და სტიქიური პროცესების პრევენციის განყოფილებას შენიშვნა არა აქვს.

გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი:

წარმოდგენილი, „საექსპლოატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ფუნქციონირების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“, არ არის შედგენილი დებულების თანახმად „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია მინისტრის ბრძანებით №316 5.05.2013 წელი.

არ ჩანს რომელი საექსპლოატაციო პარამეტრები იცვლება. (პრაქტიკულად არაფერი არ იცვლება)

გაუგებარია რა დონის ჰიდრაულიკურ გამორეცხვებზეა საუბარი, თუ აპირებენ ჰესის წყალსაცავის თავდაპირველი მოცულობის აღდგენას, მაშინ აუცილებელია წყალსაცავში ფსკერული დანალექის დარიშხანით დაბინძურების ხარისხის შედარებითი შეფასება და შემდგომ ამის საფუძველზე შექმნილი პროექტის წარმოდგენა სამინისტროში შესათანხმებლად.

თუ გამორეცხვებს აპირებენ ისე როგორც წერია 70-ე გვ-ზე, „ამ თვალსაზრისით საჭიროა ფრთხილი მიდგომა წყალსაცავის ღრმა ჰიდრაულიკური გარეცხვების განხორციელებისას და მიზანშეწონილია ჩატარდეს მხოლოდ მიმდინარე გეგმიური მსუბუქი გარეცხვები, რაც შეაფერხებს წყალსაცავის სრულ დალაშვას, მაგრამ არ მოახდენს დეკონირებული ლამის გადანაწილებას ქვედა ბიეფში“. ეს არის ჩვეულებრივი ჰესის საექსპლოატაციო რეჟიმი, რომელიც ისედაც ხორციელდება წყალდიდობის დროს. ამისათვის წარმოდგენილი გზმ-ს ანგარიში არ იყო საჭირო.

გვ. 55, მე-7 პუნქტი. „გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და ანალიზი“. ცხრილში 7.1.1. არის ერთადერთი პუნქტი, „წყალსაცავის მყარი ნატანისაგან გარეცხვა“, თუმცა არ არის ახსნილი რა დონის გარეცხვებზეა საუბარი.

კომპანია თუ მიიღებს გადაწყვეტილებას ჩატაროს წყალსაცავის ღრმა წმენდა (ე. ი. ამოიღოს მიახლოებით 37 მლნ/მ³ ლამი ან სხვა, ნაკლები ოდენობა), საჭირო იქნება გამოიკვლიოს ფსკერული დანალექის დარიშხანით დაბინძურების ხარისხი და წარმოადგინოს შესაბამისი ლამის ამოღებისა და განთავსების პროექტი სამინისტროში. მხოლოდ ამის შემდგომ გახდება შესაძლებელი დადგინდეს ექვემდებარება თუ არა, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა ეკოლოგიურ ექსპერტიზას, შესაბამისად გზმ-ს ანგარიშის წარმოდგენას.

დანარჩენი საკითხები რომელიც მოცემულია გზმ-ს ანგარიშში ეხება ჩვეულებრივ ექსპლოატაციის პირობებს და არ შეიცავს რაიმე ახალ ზემოქმედებას გარემოზე.

პატივისცემით,



სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოადგილე

რამაზ გერლიანი



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF
GEORGIA



KA060144972430917

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუსა ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moc.gov.ge

2743

27 / მარტი / 2017 წ.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსს
ბატონ თორნიკე გვაზავას

ბატონო თორნიკე,

წინასწარი განხილვის მიზნით გიგზავნით მდ. რიონზე განთავსებული სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატებს.

იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო ტერიტორია ან მისი ნაწილი განთავსებულია ტყის ფონდში, გთხოვთ მიმდინარე წლის 19 აპრილამდე გვაცნობოთ პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ტყის ფონდის ტერიტორიის ფართობი და მოგვაწოდოთ ინფორმაცია აღნიშნულ ტერიტორიაზე გავრცელებული როგორც წითელი ნუსხის, ისე სხვა სახეობებთან დაკავშირებით, რა სახის შემარბილებელი/საკომპესაციო ღონისძიებები უნდა იქნეს გატარებული.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ გზშ-ს ანგარიშის მიმართ გამოთქმული შენიშვნების კომპლექსურად განხილვის მიზნით, სამინისტროში დაიგეგმება სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის თარიღი და დრო გეცნობება მოგვიანებით.

გთხოვთ, წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშზე შენიშვნების მომზადების დროს უზრუნველყოთ „გზშ-ს ანგარიშის განხილვის კითხვარის“ შევსება, რომელიც დანართის სახით ერთვის წერილს.

დანართი: გზშ-ს ანგარიშის ელ. ვერსია და საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატები.

პატივისცემით,

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

თამარ შარაშიძე



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო



KA010173348200917

ეროვნული სატყეო სააგენტო გულუას ქ.№6, 0114, ქ. თბილისი, საქართველო. ტელ.:275-39-59

№ 06/6866

02 / აპრილი / 2017 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ თამარ შარაშიძეს

ქალბატონო თამარ,

სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ განიხილა თქვენი 2017 წლის 27 მარტის N2743 წერილი, სადაც დასმულია საკითხი, სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ.

გაცნობებთ, რომ პროექტის დანართში წარმოდგენილი 1196054 კვ.მ. ფართობი (shp ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, არ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდს.

დანართი: shp ფაილი

პატივისცემით,

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

თ. გვამაყვი

თორნიკე გვაზავა

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი



გულუას ქ.6, 0114 თბილისი, საქართველო
 ტელ: 272 72 20, 272 72 61, 272 72 09

KA060131775337117

№ 836

21 / მარტი / 2017 წ.

ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის
 წყლის სამმართველოს უფროსს
 ქალბატონ მარიამ მაკაროვას

ქალბატონო მარიამ,

წინასწარი განხილვის მიზნით გიგზავნით სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს მიერ წარმოდგენილ, მდ. რიონზე განთავსებული „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიში საჭიროებს რომელიმე საკითხის დაზუსტებას, ან დამატებით შესწავლას, გთხოვთ თქვენი შენიშვნები და მოსაზრებები მოგვაწოდოთ 2017 წლის 19 აპრილამდე, რათა დოკუმენტის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე საქმიანობის განმარტაციულ ელემენტებს მოახდინოს მათი დროულად გათვალისწინება.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ სამინისტროში 2008 წელს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ, ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით წარმოდგენილი იქნა შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ტექნიკური და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ აიღო ვალდებულება გაეხორციელებინა რიგი სარეაბილიტაციო სამუშაოები და გაეახლებინა მონიტორინგის სისტემა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშზე ახალი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შემთხვევაში გაუქმდება სამინისტროს მიერ 2008 წელს გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა და შესაბამისად, 2008 წლის გზშ-ს ანგარიშით აღებული ვალდებულებები, ამიტომ „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან ერთად, გიგზავნით აღნიშნულ საქმიანობაზე 2008 წელს წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშს და ორივე დოკუმენტის ერთობლივად განხილვის შემდეგ, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმ ვალდებულებების შესახებ, რომელიც რელევანტურია აღნიშნული საქმიანობისათვის და მიზანშეწონილად მიგაჩნიათ მათი გადმოტანა ახალ გზშ-ს ანგარიშში.

დამატებით გთხოვთ, წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშზე შენიშვნების მომზადების დროს უზრუნველყოთ „გზშ-ს ანგარიშის განხილვის კითხვარის“ შევსება, რომელიც დანართის სახით ერთვის წერილს.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ გზშ-ს ანგარიშის მიმართ გამოთქმული შენიშვნების კომპლექსურად განხილვის მიზნით, სამინისტროში დაიგეგმება სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის თარიღი და დრო გეცნობებათ წინასწარ.

დანართი: გზშ-ს ანგარიშების ელექტრონული ვერსია და „გზშ-ს ანგარიშის განხილვის კითხვარი“.

9/6/2018

ადმინისტრაციული დეპარტამენტის ბლანკი

პატვისცემით,

დეპარტამენტის უფროსი

თ. შარაშიძე

თამარ შარაშიძე

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტი



გულუას ქ.6, 0114 თბილისი, საქართველო
ტელ: 272 72 20, 272 72 61, 272 72 09

KA060138994178417

№ 1144

18 / აპრილი / 2017 წ.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ თამარ შარაშიძეს

ქალბატონო თამარ,

თქვენი, მიმდინარე წლის 21 მარტის # 836 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წყლის სამმართველომ განიხილა მდ. რიონზე განთავსებული „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რაზედაც სამმართველოს შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის
უფროსი

ბ. ჭელიძე

გიზო ჭელიძე

საქართველოს საგარეო ურთიერთობების
მინისტროს ინფორმაციის ცენტრი

საგარეო ურთიერთობების
მინისტროს ინფორმაციის ცენტრი
C010005153606
Georgian Post
11/09/2018

საგარეო ურთიერთობების
მინისტროს ინფორმაციის ცენტრი
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს ინფორმაციის ცენტრი
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს ინფორმაციის ცენტრი